მარის ჯამბაზები

დაბადების დღეზე დედამ

სიურპრიზი გამიკეთა,

საჩუქარიც ამას ჰქვია-

ჯამბაზები მოიწვია.

სახედახატულები და შარვალჩაჩულები,

ვარდისფერი პარიკით

და სასაცილო ყურებით.

გვამღერეს და გვაცეკვეს,

გვაცინეს და იცინეს.

ცხვირ-პირი მოუთხუპნეს

დეიდებს და ბიძიებს.

ბოლოს, იონს მივუხვდით

მე და ჩემი ძამიკო:

ჯამბაზებში ვიცანით

დედიკო და მამიკო...

მზია გოგნიაშვილი

ციყვი თამროს დღეობა

შუა ტყეში ერთი ხე დგას,

ფუღურო აქვს დიდი იმ ხეს,

იმოდენა, იმოდენა,

ასი ციყვი რომ მოილხენს.

ერთხელ დასხდნენ ციყვები და

გააჩაღეს დიდი ბჭობა,

როგორ უნდა განამტკიცონ

ციყვთა შორის მეგობრობა.

ერთად თავის შესაყრელად

ფუღურო აქვთ ერთადერთი…

იფიქრეს და გახსნეს კაფე

და დაარქვეს „ხრამუნეთი“.

ჰოდა, შაბათს „ხრამუნეთში“

ყველა ციყვი მოცუნცულდა,

ციყვი თამროს დღეობაა,

ათი წლისა შეგვისრულდა.

სახრამუნოც მოიტანეს,

წიწიბო და ხმელი ხილი,

კაკალი და არახისი,

ნიყვი, წაბლი, გირჩი, თხილი.

გააჩაღეს ხრამა-ხრუმი,

იყო სუფრა მხიარული

და ისმოდა კიდით-კიდე

წრიპინი და ჟრიამული.

მერე ისე დაუარეს,

რომ მთელი ხე ზანზარებდა,

ზანზარისას რკო ცვიოდა,

დაბლა ტახებს ახარებდა.

კობა ბაბუ ლექსს უწერდა

და ხმამაღლა ხარხარებდა.

კობა ჭუმბურიძე

***

დღეს ირაკლის დღეობაა,

მეგობრები ულოცავენ,

დღეგრძელობას უსურვებენ,

ალუბლის წვენს ყანწით სვამენ.

უსაჩუქროდ მოვიდა

მხოლოდ ყვავი ყვანჩალა,

წუხდა – წამოსაღები

ტყეში არა დარჩა რა…

მელამ მოაცუნცულა

მოცვის დიდი კუნწულა,

ბელმა მოაძუნძულა

ფიჭა, თაფლიწურწურა,

ზღარბმა მოაყუნცულა

ქამა სოკო, ღუნძულა,

მოხტის ციყვი, მხიარული

და კაკალი მოაქვს კროლა,

მგელმა, ვითომ სკუტერია,

შეისვა და გააქროლა…

აი ასე კარგი არის

კარგი მეგობრების ყოლა.

კობა ჭუმბურიძე

ლეკვის დაბადების დღე

დაბადების დღე აქვს ჩვენ ლეკვს _

ერთი წლის წინ გაჩნდა!

ის ერთ ლამაზ სახლში ცხოვრობს

სამ პატარა ბავშვთან.

ვერც თვლის იუბილარი

სტუმრებსა და საჩუქრებს,

წელი რომ ემატება,

ეგ სულაც არ აწუხებს.

არც სიმღერა უნდა და
არც ჩხაკუნი გიტარის,
არვინ შეეხვეწება,
"აბა, ლექსი გვითხარი".

_ რა მიართვეს? _ ეს ჯამი,
ესეც პლედი, ახალი.
_ კიდევ? _ საყელური და
ტყავის დიდი ლაგამი.

ციცქნა ტორტზე დაუდეს
სანთლის ნაცვლად გუფთა.
წუხელ კარგად აბანავეს,
საწოლიც აქვს სუფთა.

მას ბალიშიც აჩუქეს
და პლასტმასის ძვალიც.
ჩვენი ლეკვი დღეიდან
დიდი ძაღლი არის.

ჰამ-ჰამ! ჰამ-ჰამ! ძაღლი ვარ!
დახტის, დახტის. ყეფს და ყეფს.

უხარია ბავშვივით

თავის დაბადების დღე!

მარიამ წიკლაური

დაბადების დღე

დაბადების დღე აქვს მაშოს.

აჩუქებენ სათამაშოს.

-კიდევ?

-წიგნებს, ფაზლებს, ფანქრებს.

დედა ტორტს მოუმინანქრებს.

ეს რა კარგი დღეა, ვაშა!

მაშო ელის სუფრის გაშლას.

ჩვენც მიგვიწვევს, აი, ნახავ,

- რას ვაჩუქებთ? - ლამაზ ნახატს!

ბებო აცმევს ახალ კაბას,

მორთულია მთელი ბინა,

ბაბუკა და მამა ერთად

ადღეგრძელებს იუბილარს.

სტუმრებს შეეგებებიან

მაშოს ფისოც, მაშოს ლეკვიც,

მაშომ უნდა გვიმღეროს და

წაგვიკითხოს ერთი ლექსი.

მარიამ წიკლაური

სპილოს დაბადების დღე

სპილო უკრავს სალამურს,

ჩაუცვია სანდლები,

ტორტი მოაქვს დედიკოს,

ზედ ანთია სანთლები.

სირაქლემა ტაშს უკრავს,

სკამზე შეხტა მელია,

გაიძახის: 'ქოქოსის

ტორტი გემრიელია".

მარიამ წიკლაური